

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმრებს — თასი, მასპინძლებს — მადლობა!

სასტენდო სროლაში საქართველოს თასის გათამაშებას ქუთაისის სასროლეთი პირქუში ამინდით შეხვდა. ძლიერი ქარის გამო ასპარეზობა ერთი დღით გადაიდო. არც მეორე დღეს გამოიდარა, მაგრამ ქარი ცოტა დაცხრა და შეჯიბრებაც დაიწყო. მსაჯთა კოლეგია იძულებული გახდა ერთგვარად შეეცვალა პროგრამა — მსროლელებს 100-ის ნაცვლად 50-50 სამიზნე მისცეს.

ადგილიდან სროლაში საუკეთესო იყო კ. დარასელია (სოხუმი), რომელსაც სპორტკავშირის ცენტრალურმა საბჭომ ამას წინათ საერთაშორისო სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა. დარასელიამ 50 შესაძლებლიდან 46 ქულა მოაგროვა. გამარჯვებულს 1 ქულით ჩამორჩა რესპუბლიკის არაერთგზის რეკორდსმენი და ჩემპიონი, თბილისელი ზ. მაჩხანელი. III ადგილზეა ახალგაზრდა ქუთაისელი სპორტის ოსტატი კ. ჟღენტი — 43 ქულა.

გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა თბილისის კოლექტივმა (ზ. მაჩხანელი, შ. ჩახნაშვილი, ვ. ალავერდოვი, ო. ნუკრაძე). II ადგილი დაიკავა მასპინძელთა ნაკრებმა.

შეჯიბრებისთვის შედარებით უკეთესი პირობები შეხვდათ მრგვალ სტენდზე მსროლელებს. ყველაზე ისახელა თავი სამტრესტის თბილისის ლიქიორის ქარხნის მუშამ, სპორტის ოსტატმა ტ. ჟღენტმა, რომელმაც მხოლოდ ორ სამიზნეს დააცილა და 48 ქულა მოიპოვა. 46 ქულა დაგროვა სპორტის ოსტატმა ბ. სეგალევიჩმა (სოხუმი). 45 ქულით III ადგილი ხვდა ახალგაზრდა მსროლელს, სპორტის ოსტატობის კანდიდატ ნ. ჯანაშიას (თბილისი). გუნდურ ჩათვლაში ამ სახეობაშიც თბილისელებმა (ტ. ჟღენტი, ე. ძიძიგური, ლ. სიმონიანი, ნ. გოცირიძე) იმარჯვეს. საერთო პირველობაც დედაქალაქის კოლექტივმა დაიპყრო და თასიც მას გადაეცა. აფხაზეთის გუნდი მეორე იყო მრგვალ სტენდზე სროლაში, მაგრამ კომპლექსში მასპინძლებმა აჯობეს.

აღსანიშნავია, რომ ტურნირში მხოლოდ 3 გუნდი მონაწილეობდა. ასპარეზობას თავი აარიდეს აჭარის, მახარაძისა და ზუგდიდის კოლექტივებმა. სამწუხაროდ, ეს პირველი შემთხვევა როდია.

უნდა აღინიშნოს ქუთაისელი ენთუზიასტების თავდადებაც. შ. ნაჭყებიამ, შ. გულაძემ, მ. გიგაშვილმ და სტენდის თანამშრომლებმა ითავეს, თავად მოჰკიდეს ხელი წერაქვსა და ნიჩაბს, სასწრაფოდ შეაკეთეს სტენდი, რომლის კეთილმოწყობისთვისაც ადგილობრივ მონაკვეშრს კარგა ხანია არ შეუწყვეტია თავი.

ახლა ქუთაისის სასროლეთი გამოსადეგია მნიშვნელოვანი შეჯიბრებებისთვის. 19-20 ნოემბერს აქ გაიმართება საქართველოს და უკრაინის შესტენდოურეთა ტრადიციული მატჩი.

ა. ბაქრაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ქუთაისი.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — **შეჯიბრების მომენტი;** მარჯვნივ — **თასის მფლობელი — თბილისის გუნდი.**

ფოტო ვ. ზარგარიანისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 224 (3201)

19 ნოემბერი, შაბათი.

1966 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 28-ე წელი

XXVI ჩემპიონატი

სტარტი აღებულია

კიევი, 18 ნოემბერი (*ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.*). „ავანგარდის“ რესპუბლიკურ საჭადრაკო კლუბში დაიწყო სსრ კავშირის ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი.

სატურნირო ცხრილი კენჭისყრის შედეგად ასე გამოიყურება: 1. ც. კახაბრიშვილი, 2. თ. ბოიახჩიანი (ერევანი), 3. საერთაშორისო ოსტატი მ. რანიკუ (ტალინი), 4. ოსტატი ე. კაკაბაძე, 5. საერთაშორისო ოსტატი ა. ჩაიკოვსკაია, 6. საერთაშორისო ოსტატი ე. ბიკოვა (მოსკოვი), 7. ოსტატი თ. გოლოვეი (მინსკი), 8. ა. კისლოვა (კუიბიშევი), 9. ოსტატი ვ. ტიხომიროვა (მოსკოვის ოლქი), 10. ოსტატი ნ. ეოიციკი (მოსკოვი), 11. გ. არჩაკოვა (მინსკი), 12. ნ. მედიანაკოვა (ლენინგრადი), 13. ა. მუსლიმოვა (ალმა-ათა), 14. ოსტატი კ. სკეგინა (მოსკოვის ოლქი), 15. საერთაშორისო ოსტატი ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი), 16. თ. მოროზოვა (ლვოვი), 17. ოსტატი ნ. ალექსანდრია, 18. ოსტატი ე. რუბცოვა (მოსკოვი), 19. საერთაშორისო ოსტატი ტ. ზატულოვსკაია (ბაქო); 20. ოსტატი ლ. იდელჩიკი (კიევი).

I ტურში არჩაკოვამ მოუგო ეოიციკს, ხოლო სკეგინამ—გოლოვეის. ყაიმით დამთავრდა რანიკუ — რუბცოვას შეხვედრა. დანარჩენი პარტიები გადაიდო. ამ დღეს არ შედგა კაკაბაძე — ალექსანდრიას პარტია.

II ტურში ალექსანდრია მძაფრად უტრედა ჩაიკოვსკაიას პოზიციას, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. ბოლოს შეცდა და წააგო პარტია. დამარცხდა კაკაბაძეც. მას მოუგო რუბცოვამ.

ზატულოვსკაიამ მოუგო რანიკუს, იდელჩიკმა — არჩაკოვას, მედიანიკოვამ — ეოიციკს. ყაიმზე შეთანხმდნენ სკეგინა—კისლოვა. სხვა პარტიები გადაიდო.

ჭადრაკი

საზეიმოდ გაიხსნა

ბაქო, 17 ნოემბერი (*ჩვენი სპეც. კორ.*). დღეს საღამოს აქ საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის უძლიერეს მოჭადრაკეთა ამხანაგური ტურნირი. თბილისში მოძმე რესპუბლიკების ოსტატთა 1948 წლის ასპარეზობის შემდეგ ეს მათი პირველი შეჯიბრებაა. წლევანდელი ტურნირი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აზერბაიჯანში ნ. გაფრინდაშვილის მონაწილეობის გამო.

გახსნის ცერემონიალზე კენჭისყრაც მოეწყო. აი, როგორ გამოიყურება სატურნირო ცხრილი: 1. ოსტატობის კანდიდატი თამაზ გიორგაძე, 2. ოსტატი კ. გრიგორიანი (ერევანი), 3. საერთაშორისო ოსტატი ნ. გაფრინდაშვილი, 4. ოსტატი ი. ჩიქოვანი, 5. საერთაშორისო ოსტატი ვ. ბაციროვი (ბაქო), 6. ოსტატი ა. ბოკუჩავა, 7. ოსტატობის კანდიდატი გ. მაკავარიანი, 8. ოსტატი ა. ბუსლაევი, 9. ოსტატობის კანდიდატი ა. შახტახტინსკი (ბაქო), 10. ოსტატი ლ. გრიგორიანი (ერევანი), 11. ოსტატობის კანდიდატი ო. პავლენკო (ბაქო), 12. ოსტატი თ. ლომაია, 13. ოსტატობის კანდიდატი ა. დემირხანიანი (ერევანი), 14. ოსტატობის კანდიდატი ფ. შახტახტინსკი (ბაქო), 15 ოსტატობის კანდიდატი რ. პრივოროცკი (ბაქო).

გუშინ...

I ტურში გაფრინდაშვილმა მოუგო ფ. შახტახტინსკის, ბაციროვმა — ლომაიას. სხვა პარტიები გადაიდო.

78 ოლიმპიური პრეტენდენტი

ციურიხი, 17 ნოემბერი. XIX ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირში მონაწილეობას მიიღებს ექვეყნების სარეკორდო რაოდენობა — 78. ფინალში, როგორც ყოველთვის, ითამაშებს 16 გუნდი, სადაც 2 ადგილი უკვე დაკავებულია გასული თამაშების ჩემპიონისა (უნგრეთი) და ოლიმპიადის ორგანიზატორისთვის (მექსიკა). ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის სამოყვარულო კომიტეტმა დანარჩენი 76 პრეტენდენტი ჯგუფებად დაპყო შესარჩევი თამაშების ჩასატარებლად. ევროპაში შექმნილია 4 ასეთი ჯგუფი, აზიასა და აფრიკაში — 3-3, ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკაში — 2, ხამხრეთ ამერიკაში — 2.

საბჭოთა ნაკრები კენჭისყრით მოხვდა ევროპის I ჯგუფში, სადაც მეხიკოს ფინალისთვის საგზურის მოსაპოვებლად ბრძოლას დაიწყებს ალბანეთის გუნდთან შეხვედრით. 1967 წლის 30 ივნისამდე მეტოქეთა შორის უნდა შეიგეგს ორივე შეხვედრა. ამ წყვილის გამარჯვებული გაისის მეორე ნახევარში შეხვდება პოლონეთის ნაკრებს, ხოლო III ეტაპზე (1968 წლის 30 ივნისამდე) ეთამაშება კიდევ ერთ მეტოქეს — იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს შორის გამარჯვებულს.

მოგვაყავს დანარჩენი ჯგუფების შემადგენლობანი:

ევროპა. II ჯგუფი: გდრ—საბერძნეთი, რუმინეთი, თურქეთი—ბულგარეთი; **III ჯგუფი:** ფინეთი — ჰოლანდია, საფრანგეთი, შვეიცარია—ავსტრია; **IV ჯგუფი:** ისლანდია — ესპანეთი, იტალია, ინგლისი — გფრ.

აფრიკა. I ჯგუფი: გაბონი, გვინეა, ალჟირი, ლიბია, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა; **II ჯგუფი:** ტანზანია, მადაგასკარი, უგანდა, ნიგერია, სუდანი; **III ჯგუფი:** მალი, კამერუნი, ტუნისი, მაროკო, განა.

ჩრდილოეთ და ცენტრალური ამერიკა. I ჯგუფი: აშშ, ბერმუდის კუნძულები, დომინიკანის რესპუბლიკა, ჰაიტი, გვატემალა, კოსტა-რიკა, პერუ; **II ჯგუფი:** კანადა, კუბა, სალვადორი, გონდურასი, ტრინიდადი, სურინამი, ანტილის კუნძულები.

აზია. I ჯგუფი: ტაივანი, იაპონია, სამხრეთ კორეა, ლიბანი, ფილიპინი, სამხრეთ ვიეტნამი; **II ჯგუფი:** ჰონკონგი, ინდონეზია, ერაყი, მალაიზია, ტაილანდი, პაკისტანი; **III ჯგუფი:** ბირმა, ინდოეთი, ირანი, ისრაელი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა.

სამხრეთ ამერიკა: არგენტინა, ბოლივია, ბრაზილია, ჩილი, კოლუმბია, ეკვადორი, პარაგვაი, პერუ, ურუგვაი, ვენესუელა (ეს 10 გუნდი დაიყოფა 2 ჯგუფად).

აზიისა და სამხრეთ ამერიკის ზონებში გათამაშება ჩატარდება წრიული სისტემით, ხოლო დანარჩენ შესარჩევ ჯგუფებში — ოლიმპიური წესით (დამარცხებული ეთიშება შეჯიბრებას). მატჩები გაიმართება მოწინააღმდეგისა და საკუთარ მინდვრებზე.

ფიფა-ს სამოყვარულო კომიტეტმა ნება დართო წინასწარ შესარჩევ თამაშებში მატჩის მსვლელობაში შეიცვალოს მეკარე, აგრეთვე, მინდვრის 1 მოთამაშე პირველ ტაიმში.

ფეხბურთი

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე

პრაღა, 18 ნოემბერი. ადგილობრივი „დუკლას“ ფეხბურთელები შეხვდნენ ბელგიის „ანდერლეხტს“. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 4:1 (2:1). განმეორებითი მატჩი გაიმართება 7 დეკემბერს ბრიუსელში.

მიუნჰენი, 18 ნოემბერი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელის—მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელები აქ შეხვდნენ დასავლეთგერმანულ გუნდს „მიუნჰენ-1860“. გაიმარჯვეს გერმანელმა ფეხბურთელებმა — 1:0. 89-ე წუთზე ბურთი გაიტანა კიუპერსმა.

ტაშკენტი — ტანმოვარჯიშეთა ქალაქი

საჯარო ლექციები

ეროვნული

გუშინ უზბეკეთის დედაქალაქში სტარტი აიღო საკავშირო პირველობამ სპორტულ ტანვარჯიშში. ასპარეზობის მონაწილეებისთვის გუნდური პრიზისა და აბსოლუტური ჩემპიონების ოქროს მედლებს ბრძოლა დაწესებულია ოცზე მეტი საგანგებო ჯილდო. ამინდები ცუდი დაიჭირა. ზოგი გუნდი დროით ვერ ჩაფრინდა ტაშკენტს და მსაჯთა კოლეგია იძულებული შეიქნა ჩემპიონატის გახსნა ერთი დღით გადაიდო.

მიწისძვრის მერე ტაშკენტი პირველ დიდ სპორტულ შეჯიბრებას მასპინძლობს და კარგად მომზადებულიც ხვდება ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ტანმოვარჯიშეებს. საორგანიზაციო კომიტეტს ხელმძღვანელობს უზბეკეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. აზიმოვი. ყოველ გუნდს შეეფობს ტაშკენტის ერთ-ერთი რომელიმე მუზეული საწარმო, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და გაზეთებმა კი საგანგებო პრიზები დააწესეს.

...სპორტული მანეკი „იოშლიკი“. ფასადზე აღმართულია ფარი, რომელზეც ტანმოვარჯიშის ფიგურა და ბამბის ყუთები ამოუკვეთავთ. „ეს ემბლემა განა მხოლოდ იმას მიგვანიშნებს, რომ ჩემპიონატი ბამბის მოსავლის ოსტატთა რესპუბლიკაში ტარდება, — თქვა საკავშირო კორესპონდენტთან საუბარში უზბეკეთის სპორტკავშირის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ე. ამინოვმა. — იგი ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ტრადიციებზე მეტყველებს: ტანვარჯიშში სსრ კავშირის ჩემპიონობა ხომ პირველმა ტაშკენტელმა მურაშკომ მოიპოვა 1928 წელს! ტაშკენტის მკვიდრია ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელი აბსოლუტური ჩემპიონი დიომიდოვიც. აქ გაიზარდნენ განთქმული ოსტატები — მსოფლიოს ექს-ჩემპიონი გალინა შამრაი, ოლიმპიური თამაშების მონაწილე კონოვალოვა და სხვები“.

ამ ჩემპიონატის თავისებურება ისიც გახლავთ, რომ სპორტსმენები მხოლოდ ნებისმიერი პროგრამით გამოდიან. ეს განსაკუთრებულ მიმზიდველობას და სიმძაფრეს შესძენს შეჯიბრებებს. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებს ყველა სახელოვანი ტანმოვარჯიშე და ნიჭიერი ახალგაზრდობა, ცხადია, მაყურებლებს მართლაც კარგი სანახაობა ელით. ეს კია, პირველობისთვის არ იბრძოლებენ ლ. ლატინინა და ბ. შახლინი, მაგრამ ჩემპიონატში ისინიც გამოვლენ... მსაჯთა მაგიდასთან.

რეგბი, რეგბი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დღეს გრძელდებოდა სსრ კავშირის პირველობის ფინალური ტურნირი რეგბიში. თბილისისა და რუსთავის სტადიონებზე ათი დღის განმავლობაში იბრძოდნენ უძლიერესის სახელისთვის ჩვენი ქვეყნის საუკეთესო გუნდები — ზონალურ ტურნირებში გამარჯვებული კოლექტივები. და ახლა, როცა ასპარეზობა დამთავრდა, შეგვიძლია ერთგვარად შევაჯამოთ როგორც პირველობა, ისე, საერთოდ, რეგბის მდგომარეობა ჩვენში.

შეჯიბრების გახსნის დღეს თბილისის „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ რეგბისტთა მატჩს 8 ათასამდე მაყურებელი ესწრებოდა. თითქმის ამდენივე კაცი მოვიდა თბილისის „დინამოსა“ და ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის გუნდების შეხვედრაზე, რომელიც რუსთავში გაიმართა. ეს ნათლად მეტყველებს რეგბისადმი დიდ ინტერესზე, რომელიც, ალბათ, კიდევ უფრო გაიზრდება ახლო მომავალში, როცა მეტად აუდებენ ალღოს და უკეთ გაეცნობიან ამ წარმტაცი თამაშის წესებს.

ფინალურ თამაშებში მონაწილეობდა 6 გუნდი — მოსკოვისა და თბილისის „დინამო“, ლენინგრადისა და კიევის „სპარტაკი“, მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის კოლექტივი და თბილისის „ლოკომოტივი“. გზა ფინალისკენ იოლი რიდი იყო. მაგალითად, დასავლეთის ზონაში ლენინგრადის სპარტაკელებმა დაამარცხეს ისეთი ძლიერი კოლექტივები, როგორიც მათივე ქალაქის სტუდენტთა გუნდი, კაუნასის „სტეკლასი“ და რიგის ვეფ-ი არიან. უკრაინის ზონაში გამარჯვებული გამოვლინდა რესპუბლიკის პირველობის დამთავრებისას—ეს იყო კიევის „სპარტაკი“. სამტრედიის ზონიდან ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს თბილისის „დინამომ“ და „ლოკომოტივმა“. განსაკუთრებით დაძაბული იყო მატჩები მოსკოვის ზონაში. ფინალის საგზურისთვის ბრძოლაში დაუშვეს მხოლოდ 12 გუნდი (48-დან); საქართველოს დედაქალაქში ასპარეზობის უფლება „დინამომ“ და უმაღლესმა ტექნიკურმა სასწავლებელმა მოიპოვეს.

ამინდი ბრწყინვალე იდგა, შეჯიბრების ორგანიზატორებმა — თბილისის სპორტკავშირის მუშაკებმა დასვენების შესანიშნავი პირობები შეუქმნეს ყველა გუნდს. ამან დიდად შეუწყო ხელი პირველობის წარმატებით ჩატარებას.

ფინალში სულ 16 მატჩი გაიმართა. უძლიერესის სახელი მოიპოვა მოსკოვის ბაუმანის სასელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის გუნდმა, რომელმაც ტურნირი ისე გაიარა, რომ 1 ქულაც არ დაუკარგავს. II ადგილზე გავიდა თბილისის „დინამო“, რომელმაც ერთადერთი შეხვედრა წააგო გამარჯვებულებთან. ეს გუნდის წარმატებად მიგვაჩნია. განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისელების აზრიანი თამაში დაცვაში,—„დინამოს“, ისევე, როგორც გამარჯვებულ გუნდს, ყველაზე ნაკლები ბურთი აქვს მიღებული. დინამოელები უშეცდომოდ მოქმედებდნენ თავდასხმაში და ხშირად, ღია შეჯიბრებისა თუ აუტის მოწოდებისას, მოწინააღმდეგეს ხელოვნურ თამაშგარე მდგომარეობაში აგდებდნენ. ამ მდგომარეობის რეალიზებამ კი თბილისელებს არაერთი ქულა მოუტანა. დინამოელები გატანილი ბურთებითაც მხოლოდ ბაუმანელებს უმობენ პირველობას.

III საპრიზო ადგილზე აღმოჩნდა მოსკოვის „დინამო“. შემდეგ მოდიან კიევისა და ლენინგრადის სპარტაკელები. თბილისის „ლოკომოტივი“ ბოლო ადგილზეა. ეს არ შეესაბამება რკინიგზელთა შესაძლებლობას და ვიმედოვნებთ, პერსპექტიული კოლექტივი სწორად შეაფასებს ამ მარცხს და შესაფერის დასკვნებსაც გამოიტანს.

ასეთია საერთო ტექნიკური შედეგები, მაგრამ მათ უკან ყოველი გუნდისა და მწვრთნელის ხანგრძლივი, მძიმე შრომა იმალება. ეს შედეგები იძლევა აუარგელ მასალას ღრმა ანალიზისთვის. პირველ ყოვლისა, შევჩერდეთ ძირითად საკითხებზე:

1) გუნდების ფიზიკური და ტექნიკური მომზადება. რეგბი სპორტსმენს შეესანიშნავ ძალისმიერ და მორალურ თვისებებს უვითარებს, მაგრამ წარმატებისთვის ეს როდი კმარა. მწვრთნელებმა გუნდების ფიზიკურად უკეთ მომზადების მიზნით ფართოდ გამოიყენეს მძლეოსნობისა და ჭიდაობის, ტანვარჯიშისა და ცურვის, ფეხბურთისა და კალათბურთის ელემენტები. ამიტომაც იყო, რომ მოთამაშეთა უმრავლესობამ მაქსიმალური ფიზიკური დატვირთვის გამძლეობის უნარი გამოავლინა. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით ტექნიკურ მომზადებაზე: ტექნიკური ილეთების არსენალი უმეტეს შემთხვევაში ძალიან ღარიბია. კარგად არაა დაშუშავებული „მარაო“, ფეხით დარტყმა — დროებული, ბურთისთვის ბრძოლა გვერდითი ხაზიდან „დერეფანში“ შეგდებისას და ა. შ. რეგბში დიდი მნიშვნელობა აქვს კოლექტიურ ტექნიკასაც. იგი განსაკუთრებით საჭიროა მეტოქის რიგების ერთობლივი გარღვევისას. სათანადოდ არაა დასვეწილი მიწიდან ბურთის მიღების, მაღალი ბურთის დაუფლების ტექნიკა და სისწრაფე. ასე რომ, ამ მხრივ დიდი და შრომატევადი მუშაობა გვიდგას.

2) ტექნიკის უკმარი არსენალი ტაქტიკასაც აღარიბებს. ეს კი ხშირად სრულიად უკარგავს აზრს კარგ ფიზიკურ მომზადებას. ტექნიკითა ტაქტიკით გამოირჩეოდა უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის გუნდი. შემთხვევითი არ არის, რომ ამ კოლექტივმა შეხვედრების უმეტესობა დიდი ანგარიშით მოიგო, მაგალითად, კიევის „სპარტაკთან“ — 34 : 8, ლენინგრადის „სპარტაკთან“—18 : 6, მოსკოვის „დინამოსთან“ — 14 : 3. მხოლოდ თბილისის „დინამომ“ გაუწია ღირსეული მეტოქეობა მოსკოველ სტუდენტებს და 2 ქულის უპირატესობით დაუთმო გამარჯვება.

მწვრთნელებთან საუბარში გაირკვა, რომ მოთამაშეები ხშირად ვერ ასრულებენ მათ მითითებებს — ბევრი რეგბისტი ამა თუ იმ ტაქტიკურ სვლას თვითნებურად, ალალბედზე აკეთებს და არა შექმნილი სიტუაციის შესაბამისად. მაგალითად, მეტად ეფექტურია მაღალი ბურთის ჩაგდება მეტოქის ზურგს უკან, მაგრამ საამისოდ რეგბისტი ჯერ რაც შეიძლება ახლოს უნდა მივიდეს მოწინააღმდეგესთან. ბევრი ჩვენი მოთამაშე ამ წინასწარ დავალებას არ ასრულებდა. ამიტომ იყო, რომ მეტოქე ბურთს ადვილად ეუფლებოდა და ზოგჯერ საშიშ კონტრიერიშსაც იწყებდა.

ჩვენი რეგბისტების სერიოზული ნაკლია სუსტი მანევრირებაც. ჩვენ გვყავს „მოხეტიალე“ მოთამაშეები მგელაძე, გრიგორიანცი (ტექნიკური სასწავლებელი), კიზირია, კვინიხიძე, მგელაძე, კვშელავა („დინამო“), ჯაფარიძე, რაფავა („ლოკომოტივი“) და სხვები, რომლებიც მუდამ იქ ტრიალებენ, სადაც მოწინააღმდეგე ყველაზე ნაკლებად ელის მათ. მაგრამ გვყავს ისეთი „სტატიკური“ რეგბისტებიც, არავითარ საფრთხეს რომ არ წარმოადგენენ მეტოქისთვის. ამ მხრივ განსაკუთრებით მართებთ დაფიქრება შერკინების მესამე ხაზის მოთამაშეებს, რომელთაც სწორი გადაადგილებისას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ როგორც თავდასხმაში, ისე დაცვაში. თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მანძილის გრძნობას მოთამაშე სწორედ მანძილის გრძნობით განსაზღვრავს ბურთის გადაწოდების, წინ გასვლის, ფეხით დარტყმისა და სხვა მომენტებს.

ფიქრები საკავშირო პირველობის შემდეგ

3.) თუ პირველობის შედეგებს დამარცხებული გუნდების პოზიციიდან განვიხილავთ, ნათელი გახდება, რომ კიევისა და ლენინგრადის სპარტაკელები ტექნიკურად საკმარისად როდი არიან მომზადებული. ტექნიკური სასწავლებლისა და „დინამოს“ (თბილისი) შეხვედრის შედეგი კი გუნდების მნიშვნელოვან, მაგრამ მაინც არასრულყოფილ მორალურ მომზადებაზე მეტყველებს. რეგბის მოყვარულებს კარგად ახსოვთ ამ გუნდების შეხვედრა მინსკში, სტუდენტთა V თამაშების ფინალში. თბილისელებმა როგორც მაშინ, ისე ახლაც გულდასაწყვეტი მარცხი იწვნიეს, მაგრამ, რაც მთავარია, ორივე მატჩში მაყურებელმა ნახა კარგად ორგანიზებული, დისციპლინიანი, ფიზიკურად შესანიშნავად მომზადებული გუნდის თამაში. ორივე შეხვედრაში იგრძნობოდა ზედმეტი თავშეკავება, ტექნიკის თეული არსენალის გახსნის შიში, რაც უკმარ მორალურ მომზადებას უნდა მიეწეროს. ეს უკანასკნელი თავის მხრივ, ალბათ, იმით აიხსნება, რომ შეჯიბრებების რიცხვი ჯერ კიდევ მცირეა.

პირველობის შედეგებმა ცხადად მიგვითითა რეგბის განვითარების სხვა სუსტ მხარეებზეც. მწვრთნელებს, ჩვენი აზრით, დიდი სამუშაო გაუწევდათ: მათთვის ხომ პირველობის ფინალი გამოცდილების დიდი სკოლა იყო.

სერიოზული ნაკლოვანებები შეიმჩნეოდა მსაჯობაში. ამ საქმის მოგვარებაც რეგბის თაყვანისმცემელთა ერთერთ მნიშვნელოვან ამოცანას შეადგენს.

დეკემბრის ბოლოს დანიშნულია რეგბის საკავშირო ფედერაციის საგანგებო პლენუმი, რომელმაც უნდა განიხილოს სწორედ ეს და სხვა სხვა საკითხი. იგი გამოიმუშავებს ერთიან გეგმას, რათა რეგბის შემდგომ განვითარებას სწორი გზა მიეცეს. მკითხველი ალბათ შეამჩნევდა, რომ ყურადღება უმთავრესად ნაკლოვანებებზე გავამახვილეთ. ამას თავისი მიზეზი აქვს. ცხრა მთას იქით აღარაა დრო, როცა საერთაშორისო ფედერაციაში შევალთ და საერთაშორისო შეჯიბრებებში უფრო ხშირად მოგვიხდება მონაწილეობა. დაგვჭირდება დიდი, გულმოდგინე მუშაობა, რათა ღირსეულად დავიცვათ ჩვენი ქვეყნის სპორტული ღირსება.

ტ. სტეპანოვი,
საკავშირო პირველობის მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

გ. მრელაშვილი,
თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

* * *

სურათზე: თბილისის „დინამოს“ რეგბისტები (მარცხნიდან) — დგანან — მ. კვინიხიძე, გ. ხვედელიძე, ბ. პეტრიაშვილი, ს. აროიანცი, რ. კეთილაძე, რ. ღვინიაშვილი, მ. თოფურიძე, ა. მაისურაძე, დ. ოსეფაიშვილი, ზ. მგელაძე, ი. კიზირია (გუნდის კაპიტანი) და გ. მრელაშვილი (მწვრთნელი); სხედან — ა. ლობჟანიძე, გ. აბაშიძე, ს. კეშელავა, თ. შარაშენიძე, ვ. აკოფოვი და შ. კოლუა.

ფოტო გ. ეოლოეოლიანისა.

დადგენილება ქალას გვმაცებს

„ინტერვიუ“

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების თაობაზე დიდი ინტერესით შეხვდნენ აჭარაში. ფიზკულტურულ კოლექტივებში, სპორტული ორგანიზაციების საერთო კრებაზე ფართოდ იხილავენ ამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას და ახალ-ახალ ღონისძიებებს სახავენ.

ჩვენმა კორესპონდენტმა ი. ბერძენიშვილმა სთხოვა „კოლმეურნის“ აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარეს თ. ბოლქვაძეს ეამბნა, რა კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა აჭარის სოფლებში დადგენილების განხორციელებისთვის.

— საკმარისია აღვნიშნოთ, — თქვა ბოლქვაძემ, — რომ სოფლის სპორტსმენები აჭარის ფიზკულტურელთა ერთ მესამედს შეადგენენ. შარშან მოვამზადეთ 3 სპორტის ოსტატი, 34 პირველთანრიგოსანი, 233 — მეორე, 589 მესამეთანრიგოსანი, წლეულს კი — 3 სპორტის ოსტატი, 3 ოსტატობის კანდიდატი, 40 პირველთანრიგოსანი. შესრულდა მეორე და მესამეთანრიგოსნების, საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების გეგმაც. მაგრამ ეს ზღვარი როდია. თუ ახლა ფიზკულტურასა და სპორტში ჩაბმულია სოფლის მოსახლეობის 35 პროცენტი, გადაწყვეტილი გვაქვს 1967 წლის ბოლომდე 40 პროცენტი ჩავაბათ.

ამ ამოცანის წარმატებით გადასაწყვეტად აუცილებელია მსხვილ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ფიზკულტურის ინსტრუქტორის შტატის შექმნა. ეს ბევრგან უკვე განხორციელდა.

ზოგან კი პირიქით ხდება. მაგალითად, ბათუმის რაიონის სოფელ ანგისის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. წულუკიძემ ფიზკულტურის ინსტრუქტორი ლ. ჩხობაძე... სამუშაოდან გაათავისუფლა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება დიდ ყურადღებას უთმობს სპორტულ მშენებლობას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ბევრგან უკვე მოკიდეს ხელი საქმეს, — აწყობენ ფიზკულტურულ მოედნებს.

ახალი სპორტული ბაზები საქმესლოატაციოდ გადაეცა ბათუმის რაიონის სოფელ ახალსოფელში, გონიოს კოლმეურნეობასა და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში, სარფში, ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვაში, ხეცუბანში, ბობოყვათში, ოჩხამურისა და ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში და სხვ. სპორტული მშენებლობა გაჩაღებულია ხულოს რაიონის სოფელ დიდჭარაში, შუახევის რაიონის სოფელ ჭვანასა და ოლადაურში...

არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნოთ, რომ, მაგალითად, ბათუმის რაიონის სოფელ კირნათში, მახოსა და ფერიაში, ქობულეთის რაიონის სოფელ წყაროკსა და ლეღვაში არც ფიზკულტურული მოედნები აქვთ, არც საჭირო სპორტინვენტარი. ასეთივე მდგომარეობაა ხულოს, ქედისა და შუახევის რაიონების ბევრ სოფელში. ეს გარემოება სერიოზულ დაფიქრებას მოითხოვს. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მარტივი ტიპის სპორტული მოედნები მაინც იყოს.

— ამას გარდა, — განაგრძო თ. ბოლქვაძემ, — აუცილებელია დროულად გადაიტრას ფიზკულტურული კადრების მომზადების საკითხი.

აჭარელი ფიზკულტურელები ემზადებიან სსრ კავშირის ხალხთა IV საუბლიო სპარტაკიადისთვის.

ექვი არ გვეპარება, რომ „კოლმეურნის“ საოლქო საბჭო პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებით წარმატებით შეასრულებს ხორცს მის წინაშე მდგარ ამოცანებს.

ბათუმი.

ოპერეტა ეკრანზე

ბორი

ქალაქის სპორტსკოლაში (დირექტორი კ. ხუციშვილი) მუშაობა დაიწყო მოკრივეთა ორმა ჯგუფმა. სექციაში მომეცადინეთა რაოდენობა დღითიდღე მატულობს. მომავალ მოკრივეთა აღზრდას ხელმძღვანელობს კრივის ცნობილი ოსტატი გ. დარბაისელი.

ი. თევდორაშვილი.

ზესტაფონი

პიონერთა და მოსწავლეთა სახლში გაიმართა ნორჩ მოჭადრაკეთა ტურნირი, რომელშიც 23 ბავშვი მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავა ვ. ჩუპრინმა (მე-4 საშუალო სკოლა), II—რ. შარიქაძემ (რკინიგზის მე-7 სკოლა).

ა. განუგრავა.

ერთი ჩემპიონატის

გაისად, აპრილის შუა რიცხვებში, სტოკჰოლმში გაიმართება მაგიდის ჩოგბურთელთა XXIX მსოფლიო ჩემპიონატი. ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ჩოგბურთელებმა უკვე დაიწყეს ენერგიული მზადება ამ ტურნირისთვის. მათს დღევანდელ სპორტულ ფორმაზე მეტყველებს კაუნასში დამთავრებული საკავშირო პირველობა, რომელიც, თუ შეიძლება ითქვას, სიურპრიზების ჩემპიონატი იყო. მართლაც: გუნდურმა შეჯიბრებამ წარმატება „დინამოს“ ქალთა და ვაჟთა კოლექტივებს მოუტანა. მათ სსრ კავშირის მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის გარდამავალი თასებისთვის ბრძოლაში კი მანამდე ერთხელაც არ შეუსრულებიათ მნიშვნელოვანი როლი. ლონდონის აპრილის ბატალიების გმირები ა. ამელინი, ს. გომოზკოვი, ს. სარხოიანი, გ. ავერინი და ს. პაისიარი, რომელთაც ევროპის V ჩემპიონატში საბჭოთა გუნდს ვერცხლის მედლები მოუტანეს, კაუნასში მეორე პლანზე გადავიდნენ.

კონტინენტის პირველი „ოცეულის“ მოთამაშეებმა გომოზკოვმა და სარხოიანმა მეოთხედფინალამდეც კი ვერ მიაღწიეს. ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ამელინი V ადგილს დასჯერდა, სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი ავერინი VII ადგილზე გავიდა, პაისიარი კი — VIII.

რამ გამოიწვია ფავორიტთა ეს უიღბლობა? იქნებ ფორმაში არ იყვნენ და ახლა გაციცხონ უარეს ამაშაობდნენ, ვიდრე ლონდონში? არა, ეს არ შეიძლება ითქვას. მხოლოდ სვენტლანა გრინბერგი იყო შეუძლოდ და კაუნასში საერთოდ არ გამოსულა. სსრ კავშირის ნაკრების დანარჩენი ძირითადი მოთამაშეები თავს მშვენივრად გრძნობდნენ და კარგადაც იყვნენ ნავარჯიშევი. ეს აღიარეს სპორტსმენებმაც და სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვ. ივანოვმაც.

მიზეზი სხვაა: წინა ჩემპიონატიდან განვლილ წელიწადნახევარში საბჭოთა მაგიდის ჩოგბურთელთა 3-მილიონიანი არმიიდან გამოიკვეთა ოსტატთა ახალი, მძლავრი ჯგუფი. ამ ჩოგბურთელებმა ტოლი არ დაუდეს აღიარებულ ლიდერებს. „შაღალ სფეროებში“ სიმეტიდროვე შეიქმნა.

„ახლი“ ოსტატები ღირსნი არიან, რომ მათზე ღაწერილებით ვილაპარაკოთ. პირველ ყოვლისა, თბილისელი ოქმურ რამაზაშვილი უნდა ვახსენოთ. აქამდე ეს ნაკლებად ცნობილი ჩოგბურთელი ფინალში ძალიან ეფექტურად გავიდა — ჯერ ამელინს მოუგო, შემდეგ ჩემპიონთა „მრისხანე“ მეტოქესთან — ი. ეუდინსკოთან გაიმარჯვა. გამოცდილი რიგელი სპორტსმენი ზ. კალნინში ლიდერობდა ნახევარფინალური შეხვედრის გადამწყვეტ პარტიაში (16 : 4), მაგრამ ქართველმა ოსტატმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეუძლებელი შეძლო და მატჩი მოიგო. ფინალში რამაზაშვილს ერთადერთი შედეგიანი დარტყმა ხერხდებოდა ოქროს მედლისთვის. დ. ბროდსკისთან ქართველი ჩოგბურთელი მეტუოე პარტიაში ლიდერობდა (22 : 21, 23 : 22) და მხოლოდ მოსკოველის იშვიათმა სიმშვიდემ არ მისცა საშუალება თემურს მეტოქისთვის ოქროს ქულა გამოეკლიჯა.

ვერცხლის პრიზიორი ფიზიკურად შესანიშნავადაა მომზადებული. იგი, როგორც ჭეშმარიტი სამსრეთელი, ტემპერამენტიანი და თანაც საკმარისად

მწვანე ფუჭნიშანი — რეკორდებს

საქართველოს პირველობა ის იყო დამთავრდა, რომ „ლოკომოტივის“ გუნდი ახალი ტურნირისთვის სამზადისს შეუდგა — სამხრეთის რკინიგზის „ლოკომოტივის“ საბჭო ამიერკავკასიის რკინიგზის მძღეოსნებთან მატჩის გამართვას ითხოვდა თბილისში. და აი, ამას წინათ ჩვენი დედაქალაქის „ლოკომოტივის“ სტადიონზე მეტოქეებმა, მოფარიკავეთა ენით რომ ვთქვათ, სმლები ერთმანეთს გადაეჭდეს.

შეჯიბრებას ინტერესს ისიც მატებდა, რომ მასში უკონკურსოდ მონაწილეობდნენ საქართველოსა და ლატვიის ნაკრები გუნდების ათლეტებიც. მასპინძლებმა— ადგილობრივმა რკინიგზელებმა აქაც დაადასტურეს, რომ რესპუბლიკურ ჩემპიონატში მათი წარმატება შემთხვევითი არ იყო,—სამხრეთის რკინიგზის „სპორტის დედოფლის რაინდებთან“ ჭიდილში მათ რამდენიმე მაღალი შედეგი მოიპოვეს: საქართველოს 2, ამიერკავკასიის საგზაო საბჭოს 2 და „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს 1 რეკორდი დაამყარეს. ამ ტურნირმა ჩვენს რესპუბლიკას 4 ახალი სპორტის ოსტატი მისცა.

100 მეტრზე ვაჟთა რბენაში ხუთმა ათლეტმა I თანრიგის ნორმაზე უკეთესი შედეგი აჩვენა. მატჩში I და II ადგილები მასპინძლებმა — ა. ანდრეევმა (10,7) და ტ. ბახტაძემ (10,9) დაიკავეს, მაგრამ აქ ყველას აჯობა უკონკურსოდ მონაწილე ზ. სარქისიანმა („სპარტაკი“). მან დისტანცია 10,4 წამში დაფარა და სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა.

სარქისიანს მალე რკინიგზელებმაც აუბეს მხარი — 1000 მეტრზე რბენაში სამმა ათლეტმა პირველად მოიპოვა სპორტის ოსტატის შედეგი. ამ გარბენში თავიდანვე დაწინაურდა თბილისელი სპორტის ოსტატობის კანდიდატი ა. კორნეიჩუკი (ამიერკავკასიის რკინიგზა). მას ფეხდაფეხ მისდევდა ლატვიელი მ. პაუშენსი, მაგრამ თბილისელმა ი. ზეინან-ოღლიმ (მწვრთნელი ბ. ტყეშელაშვილი) ბოლო სწორზე ტემპს ერთბაშად უმატა და გამარჯვებაც დაისაკუთრა — 2.23,4. ეს შედეგი საქართველოს ახალი რეკორდია და აღემატება სპორტის ოსტატის ნორმას. სპორტის ოსტატობა მოიპოვეს პაუშენსმა და კორნეიჩუკმაც (ორივე — 2.23,8).

აღსანიშნავია, რომ ამ დისტანციაზე მეორე დღესაც მოეწყო რიგგარეშე შეჯიბრება და პაუშენსმა აქაც სცადა ძალა. ოსტატის შედეგი ამჯერად ვეღარავინ აჩვენა, მაგრამ ლატვიელებმა ი. იაკუბოვმა (2.25,6), ი. უზულინშმა (2.26,6), მ. პაუშენსმა (2.26,8) და თბილისელმა ი. ლოგუნოვმა (2.26,6) სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმას გადააჭარბეს.

მატჩის პირველ დღეს ამიერკავკასიის „ლოკომოტივის“ ქალთა კვარტეტმა (დ. კაპანაძე, რ. შჩიგოვსკაია, ს. ნაგორნაია და ვ. ქუთათელაძე) საგზაო საბჭოს ახალი რეკორდი დაამყარა ესტაფეტაში 4×100 მეტრზე — 50,2. ამ სახეობაში გაიმარჯვეს სტუმრებმა — 50,0.

საინტერესო იყო ვაჟთა ესტაფეტაც. აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიის „ლოკომოტივისა“ და საქართველოს ნაკრებმა გუნდებმა ერთნაირი დრო (42,8) აჩვენეს, ლატვიელებმა — 43,4, სამხრეთის რკინიგზის მძღეოსნებმა კი მხოლოდ 1.01,6. სამხრეთის რკინიგზის „ლოკომოტივიდან“ გამოირჩეოდა სიმაღლეზე მხტომელი ვ. სმირნოვი, რომელმაც 2 მეტრი დაძლია, 35 სანტიმეტრით აჯობა მასპინძელთა გუნდის წევრს ვ. სალაკაევს და გამარჯვებაც დაისაკუთრა.

რეკორდებზე და ოსტატობაზე „ნადირობა“ მეორე დღესაც გაგრძელდა, მაგრამ ბედმა მარტო ა. ანდრეევს (მწვრთნელი ვ. სუხოტინი) გაუღიმა. მან 21,3 წამში გაირბინა 200 მეტრი („ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს რეკორდი). ეს საუკეთესო შედეგია საქართველოს მძღეოსნობის ისტორიაში.

ანდრეევმა ამ „გასროლით“ კიდევ 2 კურდღელი მოკლა — თვითონ სპორტის ოსტატობა მოიპოვა, ხოლო გუნდს 5 ქულა შესძინა. სხვათა შორის, ამ მანძილზე სხვა ოთხმა მორბენალმა I თანრიგის შედეგი აჩვენა.

არც 800 მეტრზე მოსასპარეზე ვაჟებს შეურცხვენიათ თავი. I თანრიგის 7 შედეგი ცუდი მოსავალი როდია. გამარჯვება ისევ მასპინძლებს — ი. ზეინან-ოღლისა (1.53,2) და გ. კორნეიჩუკს (1.54,3) დარჩათ. I თანრიგს გადააჭარბეს, აგრეთვე, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ი. ცანავამ (1,55,2) და ვ. ურაკანიმ (1.56,0), ლატვიელებმა — ვ. შენბერგსმა (1.55,4) და ი. რუბეზისმა (1.54,1), აგრეთვე, ა. ლაგოშამ (სამხრეთის რკინიგზა) — 1.55,7.

ერთი სიტყვით, მასპინძლებს მეტოქის დამარცხება არ გასჭირვებიათ — 115,5 : 71,5.

სხვა სახეობებში გაიმარჯვეს: ქალებმ. რბენა 100 და 200 მ —ვ. ქუთათელაძე — 12,4 და 25,0, სიმაღლეზე ხტომა — ს. ნაგორნაია — 150; სიგრძეზე ხტომა — დ. კაპანაძე (ყველა — ამიერკავკასიის რკინიგზა) — 546. ვაჟებმ. რბენა: 400 მ — ტ. ბახტაძე — 48,3; 3.000 და 5.000 მ — ვ. პიუნოვი — 9.13,4 და 15.55,6; ესტაფეტა — 4×400 მ — ამიერკავკასიის რკინიგზა — 3.39,6; 200 მ თარჯრბენი — ვ. სალაკაევი — 25,4; შუბის ტყორცნა — მ. გრიგა — 66,70; უროს ტყორცნა — ო. ართილაყვა (ყველა — ამიერკავკასიის რკინიგზა) — 54,30.

ო. გელაშვილი.

* * *

სურათზე: სიგრძეზე ხტება დ. კაპანაძე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



ერთფეროვანი ტაქტიკის გამო

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 17 ნოემბერი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 0:1 (0:1).

„ტორპედო“: კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წვერავა, ზარია (ხაჟალია), ძოძუაშვილი, სიამაშვილი, კუტივაძე, ერქომაიშვილი, ჩხარტიშვილი, გ. ნოდია, ასიტაშვილი.

„ჩერნომორეცი“: იარჩუკი, ცუნინი, სირომიატნიკოვი, ზაბოლოტნი, არხიპენკო, მოსკალენკო, დერიაბინი, ბაზილევიჩი, მიროშინი, ლობანოვსკი, კაფაჯი.

მსაჯი თ. ველიევი (ბაქო).

დუბლიორები — 2:0 ქუთაისელთა სასარგებლოდ.

ორწინააღმდეგეები დასლოებით ერთნაირი ტაქტიკური სქემით თამაშობდნენ, მაგრამ სტუმრები უფრო კარგად იყენებდნენ გრძელ გადაცემებს, ფეხბურთელთა სწრაფ გადაადგილებას; გარდა ამისა, ბურთის გათამაშება მათ შორის გაცილებით უფრო ზუსტად ხორციელდებოდა, ვიდრე ტორპედოელებთან. ამის გამო ოდესელებმა თავიდანვე ხელთ აიღეს ინიციატივა და ტაიმი თითქმის სრული ტერიტორიული უპირატესობით ჩაატარეს.

ანგარიში გაიხსნა 25-ე წუთზე. დერიაბინი გაექცა ძოძუაშვილს და გავიდა საგოლე პოზიციაში. სიამაშვილმა ვერ მოასწრო დაზღვევაზე გასვლა და ოდესელმა ზუსტი დარტყმით გაიტანა გოლი.

ამ მარცხს არავითარი ცვლილება არ შეუტანია ქუთაისელთა თამაშში. თავდამსხმელები კვლავ სისტემატურად აგებდნენ ბრძოლას მოპირდაპირე მცველებთან, ხშირად კარგავდნენ ბურთს, ხოლო ნახევარდაცვამ ვერ შეძლო მათთან საჭირო კონტაქტის დამყარება.

მეორე ტაიმში ზარია შეცვალა ხაჟალიამ, რომელიც პირველივე წუთებიდან აქტიურად ჩაება ბრძოლაში. იგი ხშირად იცვლიდა ადგილს, სწრაფად მოძრაობდა და ცდილობდა უშუალო საფრთხე შეექმნა „ჩერნომორეცის“ კარისთვის, მაგრამ შესაფერისი მხარდაჭერა პარტნიორთა მხრივ ვერ ჰპოვა. განსაკუთრებით სუსტად გამოიყურებოდა ჩხარტიშვილი. იყო მომენტი, როცა ხაჟალიასგან მიღებული ბურთით იგი მეტად ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ ვერც ეს შესაძლებლობა გამოიყენა.

ჩვენი აზრით, ტორპედოელთა ტაქტიკურ სქემაში იგრძნობოდა ერთფეროვნება, შაბლონი. ამიტომ მეტოქე იოლად ერკვეოდა მასპინძელთა ჩანაფიქრში და დროზე ახერხებდა კონტრზომების მიღებას. შეიძლება ითქვას, ქუთაისელებმა კანონზომიერად, დამსახურებულად წააგეს ეს მატჩი.

შ. ნიჟარაძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).



ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

ᲭᲐᲢᲩᲔᲑᲘ, ᲒᲝᲚᲔᲑᲘ, ᲡᲐᲢᲝᲠᲜᲔᲑᲘ

როსტოველებს — ვერცხლის მედლები

17 ნოემბრის მატჩს მოსკოვის „ტორპედოსთან“ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა როსტოვის არმიელთა გუნდისთვის. პირველად თავიანთი არსებობის ისტორიაში, როსტოველებს შეეძლოთ ვერცხლის მედლების მფლობელები გამხდარიყვნენ და ეს შესანიშნავი შესაძლებლობა გუნდმა ხელიდან არ გაუშვა.

არმიელებმა ძლიერი შეტევით დაიწყეს თამაში და უკვე 23-ე წუთზე ბუროვმა გახსნა ანგარიში. მეორე ტაიმის დასაწყისში ტორპედოელთა კარში დაინიშნა 11-მეტრიანი დარტყმა, რომელიც ზუსტად გამოიყენა მატვეევმა — 2:0. მართალია, შემდგომში სტაფეროვმა შეძლო 1 საპასუხო ბურთის გატანა, საბოლოოდ, გამარჯვება როსტოველებმა მაინც შეინარჩუნეს — 2:1. ამ მატჩის შემდეგ საკავშირო ჩემპიონატში დაიხურა II ადგილის ვაკანსიაც. ახლა ბრძოლა წარმოებს III ადგილისთვის.

წარმატებას მიაღწია ერევნის „არარატმაც“, რომელმაც შინ დაამარცხა დონეცკის „შახტიორი“ — 2:0. ორივე ბურთის ავტორი იყო კაზარიანი.

გუშინ შედგა ჩემპიონატის კიდევ ერთი მატჩი: მოსკოვის „სპარტაკი“ — ოდესის ანალ. იგი ჩატარდა ფერგანაში და დამთავრდა ფრედ — 1:1. გოლები გაიტანეს ნემიროვსკიმ და სპარტაკელმა კრუტკოვმა.



„ᲯᲘ“ ᲯᲒᲣᲤᲘ

„დინამო“ (კიევი)
ახალ (როსტოვი)
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)
ცხალ
„ტორპედო“ (მოსკოვი)
„სპარტაკი“ (მოსკოვი)
„დინამო“ (მოსკოვი)
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)
„დინამო“ (თბილისი)
„შახტიორი“ (დონეცკი)
„ქაირატი“ (ალმა-ათა)
„არარატი“ (ერევანი)
„დინამო“ (მინსკი)
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)
„ზენიტი“ (ლენინგრადი)
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)
„ტორპედო“ (ქუთაისი)
ახალ (ოდესა)

გათამაშების ცხრილი

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲣᲤᲐᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲒᲐᲜᲘ

მდგომარეობა 19 ნოემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
	32	21	9	2	62—14	51
	36	20	7	9	54—44	47
	34	17	8	9	53—28	42
	34	16	8	10	59—43	40
	33	15	8	10	52—34	38
	33	13	12	8	41—36	38
	35	12	13	10	42—33	37
	33	10	17	6	34—28	37
	33	12	12	9	41—30	36
	35	15	6	14	32—35	36
	34	12	10	12	28—36	34
	36	12	10	14	30—45	34
	35	10	13	12	34—38	33
	36	10	13	13	29—36	33
	36	10	8	18	35—54	28
	35	11	4	20	33—48	26
	36	4	17	15	18—40	25
	32	8	7	17	36—53	23
	34	1	12	21	16—54	14

აილაგმოს უხეშობა!

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ განიხილა მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა საკითხი, რომლებმაც უხეშად ითამაშეს ევროპის ჭეშმარიტების თასების მფლობელთა თასის მატჩში ფენის „რაციდთან“.

სპორტტექნიკურმა კომისიამ 1967 წლის 1 იანვრამდე დისკვალიფიკაცია უყო ა. კორნეევს, ხოლო გ. ლოგოფეტი პირობით დისკვალიფიცირებულია 1967 წლის 1 იანვრამდე და გაფრთხილებულია, რომ თუ იგი კვლავ უხეშად ითამაშებს, უფრო მკაცრად დისჯება. ვ. ამბარცუმიანს, რომლის მხრივაც პირველია ასეთი უხეშობა, სასტიკი საყვედური გამოეცხადა.

სიურპრიზები

წინდახედულია. რამაზაშვილს ბრწყინვალე რეაქცია აქვს, სწრაფად მოძრაობს მაგიდასთან და ასწრებს თამაშს არა თუ ახლო, არამედ საშუალო ზონიდანაც. ქართველი ჩოგბურთელი მრავალფეროვანი იერიშითა და კონტრიერიშით შოქმედების მიმდევარია. განსაკუთრებით კარგია მისი კონტრდარტყმები 2-3 მეტრიდან. ეს დარტყმები დიდი ძალით არ გამოირჩევა, მაგრამ ბურთს ისეთ მახვილგონივრულ ბრუნვას აძლევს, რომ მეტოქე მყისვე ჩიხში ექცევა.

კაუნასში IV ადგილი დაიკავა ლენინგრადელმა ვ. სედოვმა. სედოვის თამაშის ძალაზე თუნდაც ის მეტყველებს, რომ მან წლევანდელ ჩემპიონთან ჩატარებული 5 შეხვედრიდან 4 მოიგო. ბროდსკიმ მხოლოდ კაუნასის ტურნირის ნახევარფინალში შეძლო ზღუდის გადალახვა.

ჩვენი აზრით, სედოვი უფრო ათლეტურია, ვიდრე რამაზაშვილი. ჩოგანი მას „კალმის“ წესით უჭირავს და მოქმედებს პრინციპით, რომ შემტევი დარტყმა მეტოქეზე ადრე განსხორციელოს. სედოვი ერთთავად იერიშზე და კონტრიერიშზეა. დიდი ფიზიკური ძალა და სისწრაფე მის დარტყმებს არაჩვეულებრივ სიმძლავრეს სძენს. მარცხნიდან დარტყმების თავისებური ტექნიკა ლენინგრადელ ჩოგბურთელს საშუალებას აძლევს მეტოქეს სეტყვასავით დააყაროს შემტევი დარტყმები სხვადასხვა პოზიციიდან.

მოსკოველი ი. ვუდინსკი კაუნასში VI ადგილზე გავიდა. სამწუხაროდ, იგი ჯეროვნად არ აფასებს საერთო ფიზიკურ მომზადებას, რაც საბოლოოდ მუდამ იჩენს თავს. აქედან გამომდინარეობს მისი ძალიან უთანაბრო თამაშიც. ვუდინსკი ცნობილია, როგორც „ჩემპიონთა რისხვა“. რაციონალური ტექნიკისა და „ფუცელში“ თავისებური დარტყმების წყალობით, იურის დაუმარცხებია ამელინი, ავერინი, ნოვიკოვი და რამაზაშვილი. თუმცა იმის გამო, რომ ზოგჯერ ყურადღებას ვერ იკრებს და ამტანობაც აკლია, ხშირად დამარცხებულა კიდეც სუსტ მეტოქესთან.

ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა 18 წლის ვილნიუსელმა რ. მიკნიავიჩუსმა. ამ ცაციამ, რომელიც მაგიდასთან გონებამახვილური გადაადგილებითა და „ფორსენდიდან“ ელვისებური დარტყმებით მოკრივეს გვაგონებს, VIII ადგილი დაიკავა.

კაუნასის ტურნირი იღბლიანი გამოდგა, აგრეთვე, ყველაზე ნორჩი სპორტსმენებისთვისაც. დავასახელებ მ. დუშკევსასს (კაუნასი), გ. სტრეფლნიკოვს (ომსკი), ფ. პილოსიანს (ერევანი), ა. კოსიაკინას (კიევი)—IV ადგილი, ლ. გრიშინას (მოსკოვი) — VI ადგილი.

აი, სია საუკეთესო საბჭოთა ჩოგბურთელებისა, რომელთაგანაც უნდა დაკომპლექტდეს ნაკრები გუნდები სტოკჰოლმში ასპარეზობისთვის.

ქალები: ს. გრინბერგი, ლ. ბალაიშიტე, ზ. რუდნოვა, ს. პაისიარვი, რ. პოღოსოვა, გ. ანისიმოვა, ა. კოსიაკინა, ლ. გრიშინა, ძ. ლუკინა, ვ. გოლუბკოვა.

ვაჟები: დ. ბროდსკი, ა. ამელინი, ხ. სარხოიანი, ხ. გომოზკოვი, გ. აგეერინი, ნ. ნოვიკოვი, თ. რამაზაშვილი, ზ. კლენინში, ვ. სედოვი, გ. ვართანიანი, რ. მიკნიავიჩუსი, ი. ვუდინსკი.

ვ. კოლეგორსკი.

ფეხბურთი

გ. სიჭინავა აწოდებს ცენტრში...

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 13 ნოემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „პროგრესული“ (ბუქარესტი) 2:1 (0:0).

„დინამო“: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ქელიძე (რეხვიაშვილი), შერგელაშვილი, პეტრიაშვილი, გ. სიჭინავა (ილიადი), ხართიშვილი, დათუნაშვილი, ბარქაია (ხუციშვილი), იამანიძე, ასათიანი.

„პროგრესული“: მინდრუ, ა. პოპესკუ, მინდოუ, სტაიკუ, მიაკშუ (კონსტანტინესკუ), პეტიანუ, ოვანდე (კოლგერიუ), მატეი, მატეიანუ, მატეუცუ (ცარელიუგო), ი. პოპესკუ (შანგერი).

მსაჯი ნ. კრილოვი (კუიბიშევი).

ბუქარესტის „პროგრესული“ საკმაოდ ავტორიტეტული გუნდია რუმინეთში. ნათქვამის საილუსტრაციოდ კმარა თუნდაც ის, რომ იგი თავისი ქვეყნის ეროვნულ ჩემპიონატში I-II ადგილებს იყოფს დედაქალაქის „დინამოსთან“. ამიტომ რუმინული ფეხბურთის ახლანდელ დონეზე გარკვეული წარმოდგენა შეიძლება ვიქონიოთ მისი გუშინდელი თამაშით.

„პროგრესული“ დაცვაში და ნახევარდაცვაში მოქმედებს 4-4 მოთამაშის შემადგენლობით, ხოლო თავდასხმაში დატოვებული ჰყავს მხოლოდ 2 „მუდმივმოქმედი“ ფორვარდი. ამ მცირერიცხოვანი ძალის შევსება ხდება ნახევარმცველთა პერიოდული გასვლით წინა ხაზზე. შეტევისას გუნდი მიმართავს გრძელ, ზუსტ გადაცემებს თავისუფალ ადგილზე და სწრაფ კონტრიერშს. ასეთი მანევრით სტუმრებმა დასაწყისშივე შეძლეს რამდენიმე სახიფათო მომენტის შექმნა, მაგრამ მატეიანუსა და ოვანდეს გადამწყვეტი დარტყმები ერთობ უხეირო იყო.

თბილისელებმა ძალზე ცუდად ითამაშეს შესვენებამდე (გამონაკლისს წარმოადგენდნენ მხოლოდ ბ. სიჭინავა და დათუნაშვილი). შესვენების შემდეგ იერიშები მომძლავრდა და გოლებიც იქნა გატანილი. „პროგრესულის“ კაი ორჯერ იქნა აღებული და ორჯერვე ბ. სიჭინავას გადაცემიდან. პირველად ეს გადაცემა გამოიყენა ასათიანმა, ხოლო შემდეგ — ხუციშვილმა.

საპასუხო გოლი მატჩის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე გაიტანა ცარელიუგომ და თბილისელებმა გამარჯვება ჩაიწერეს ამ საერთაშორისო ამხანაგურ მატჩში.

რ. ქორიძე.

ჭაგუკთა უპირატესობით

ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 18 ნოემბერი.

სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები — „დინამო“ (ბათუმი) 1.0 (1:0).

ნაკრძები: დეგტიაროვი, გოგიჯანაშვილი, დალბანოსოვი, კანთელაძე, კურკინი, ივანოვი (მასლიაევი) ჩიტაური, პოპოვი, კუზნეცოვი (პატრიკეევი), სმოლნიკოვი; ლ. ნოდია.

„დინამო“: კვახაძე, გიორგიადი, სიმონიშვილი, ონიანი, კობიაშვილი, ილურიძე, დიმანოვი (გაგუა), ვერულიძე (კონიაშვილი), გიორგაძე, ქიქავა, როგავა.

მსაჯი ი. რუსეიშვილი (ბათუმი).

ანგარიში უკვე მე-6 წუთზე გაიხსნა: გოგიჯანაშვილი შეიჭრა მასპინძელთა საჯარიმო მოედანზე, ბურთი კარის გასწვრივ ჩააწოდა და სმოლნიკოვმა ლამაზი თავური დარტყმით ბადეში მოთავსა ბურთი.

ორიოდე წუთის შემდეგ როგავას ანგარიშის გაქვითვის საშუალება მიეცა, მაგრამ ამაოდ. მე-13 წუთზე კი ლ. ნოდიამ უძლიერესი დარტყმით კინალამ მეორე ბურთი გაიტანა მასპინძელთა კარში, მაგრამ კვახაძემ თავგანწირული ნახტომით მოიგერია იგი.

შესვენების შემდეგ მატჩი ჭაბუკთა უპირატესობით მიმდინარეობდა.

ო. მურვანიძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ფეხბურთი

16 ნოემბერს...

ევროპის ჩემპიონატი

ლონდონი. ჩვენი კონტინენტის პირველობის შესარჩევ ტურნირში მეორე გამარჯვება მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონმა — ინგლისის ნაკრებმა. 76 ათასი მაყურებლის თანდასწრებით ინგლისელებმა „უემბლის“ სტადიონზე ანგარიშით 5:1 დაამარცხეს უელსის ნაკრები (პირველი ტაიმი — 3:1). 2 ბურთი გაიტანა ჰერსტმა, თითო — ძმებმა ბ. და ჯ. ჩარლტონებმა და კიდევ ერთი — უელსის გუნდის მცველმა ჰენესიმ საკუთარ კარში.

გლაზგო. გათამაშებაში ჩაება შოტლანდიის ნაკრები, რომელმაც პირველი შესარჩევი მატჩი მოუგო ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდს — 2:1.

დუბლინი. ევროპის თასის მფლობელთან — ესპანეთის ნაკრებთან ფრედ (0:0) დამთავრებული მატჩის შემდეგ ირლანდიის ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს თურქეთის ნაკრები. ირლანდიელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1 და I ჯგუფის სატურნირო ცხრილს 3 ქულით (4 შესაძლებლიდან) ჩაუდგნენ სათავეში.

თასების მფლობელთა თასზე

როტერდამი. ადგილობრივმა „სპარტამ“ განმეორებით მატჩში ანგარიშით 1:0 მოუგო შვეიცარიის „სერვეტს“, მაგრამ, ვინაიდან სტუმრებს პირველი თამაში შინ მოგებული ჰქონდათ ანგარიშით 2:0, მეოთხედფინალში გავიდნენ ისინი.

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. ნოვოტნიმ მიიღო ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი სპორტულ ტანვარჯიშში ვერა ჩასლავსკა. პრეზიდენტმა სახელგანთქმულ თანამემამულეს მიულოცა დორტმუნდის ჩემპიონატში გამარჯვება.

პრეზიდენტთან...

△ **პრაღა.** გაიმართა ევროპაში უძველესი ტრადიციული შეჯიბრება — გზატკეცილზე 10 კილომეტრზე რბენა. რიგით 70-ე ასპარეზობაში 683 ათლეტი მონაწილეობდა. გაიმარჯვა მლადეკმა — 30.51,6. საშუალო ასაკის (35-44 წელი) მძლეოსანთა შორის კარგად გამოვიდა ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი ე. ზატოპეკი, რომელიც აქტიურ სპორტს 1958 წელს ჩამოშორდა.

△ **ბუქარესტი.** ხელბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი „ბუქარესტის თასზე“ დამთავრდა რუმინეთის ნაკრების გამარჯვებით. საბჭოთა გუნდი III ადგილზეა. ახლა „ბუქარესტის თასს“ გაითამაშებენ ვაკები.

△ *მონრეალი.* კანადის ახალი რეკორდები დაამყარეს: პიოტროვსკამ 100 და 200 იარდზე რბენაში — 10,6 და 23,5, მორომ — ათჭიდში — 7252 ქულა. აქ II იყო ამერიკელი შინიკი — 7163.

△ **რეიკიავიკი.** ისლანდიისა და გდრ-ის ათჭიდელთა საერთაშორისო შეჯიბრებაში (2-2 მონაწილე) გაიმარჯვეს სტუმრებმა — 14.061 : 13.458. პირად ჩათვლაში უძლიერესი იყო პრადელი (გდრ) — 7043.

△ *მადრიდი.* ცნობილმა ესპანელმა ჩოგბურთელმა მანუელ სანტანამ ამ რამდენიმე დღის წინ მუხლის ოპერაცია გაიკეთა. 28 წლის სპორტსმენმა განაცხადა: მუხლი 2 წელია მაწუხებდა, მაგრამ ვერ მოვიცალე, რომ მისთვის მიმეხედა. ექიმების აზრით, სანტანა სარბიელს აპრილში დაუბრუნდება.

ფინიფის ციებ-ცხელება

კალანა, 17 ნოემბერი. XVII საბადრაკო ოლიმპიადის XI ტურში საბჭოთა მოჭადრაკეების მეტოქენი იუგოსლავიელები იყვნენ. ამ ორი უძლიერესი საჭადრაკო ქვეყნის გუნდების ბრძოლა ამჯერადაც საინტერესოდ წარიმართა.

სპასკის პარმასთან შეხვედრაში შეძლო მხედრის გამაგრება ცენტრში და პაიკიც მოიგო. მალე მან ღია ვერტიკალიც დიაპყრო და გაიმარჯვა. მწვავედ დაიწყო პოლუგაევსკი — მატულოვიჩის პარტიაც, მაგრამ იუგოსლავიელმა დროულად განმუხტა პოზიცია და მეტოქენი დაზავდნენ. ყაიმით დასრულდა პეტროსიან — ივკოვისა და კორჩნოი—მატანოვიჩის შეხვედრები. ამრიგად, მატჩი ჩვენმა დიდოსტატებმა მოიგეს (2,5:1,5).

ამერიკელები ჩეხოსლოვაკიელებს შეხვდნენ. აქაც 3 პარტია ყაიმით დამთავრდა. გადაიდო პახმან—ფიშერის პარტია, რომელშიც ამერიკელს ზედმეტი პაიკი აქვს.

აი, სხვა მატჩების შედეგები: დანია—არგენტინა 1:1 (2), ესპანეთი — ნორვეგია 1,5:1,5(1), რუმინეთი — გდრ 0,5:0,5(3), უნგრეთი—ისლანდია 2:1) (1), ბულგარეთი — კუბა 1,5:0,5 (2).

დილით მოეწყო წინა დღით (X ტურში) გადადებული პარტიების დამთავრება. მოგვყავს მატჩების საბოლოო ანგარიშები: სსრ კავშირი — ნორვეგია 4 : 0, ბულგარეთი — აშშ 2 : 2, არგენტინა — კუბა 3,5:0,5, გდრ — ისლანდია 3,5:0,5, უნგრეთი — ესპანეთი 3,5:0,5, ჩეხოსლოვაკია — რუმინეთი 3:1, იუგოსლავია — დანია 3 : 1.

ამრიგად, 11 ტურის შემდეგ ლიდერობენ: სსრ კავშირი (33 ქულა), აშშ (28,5 ქულა და 1 გადადებული პარტია), უნგრეთი (27,5 ქულა და 1 გადადებული პარტია), იუგოსლავია (27).

ოლიმპიადაში გადამწყვეტი დღეები დადგა. სათამაშო დარჩა 2 ტური.

ჩოხუ კაჯეთი ლესჯეგლდ ჯეჯ იოო...

თასი მერკელ!

კალანა, 18 ნოემბერი. ბოლოსწინა, XII ტურში, საბჭოთა სპორტსმენებმა მოუგეს არგენტინელებს — 3:1, მოაგროვეს 36 ქულა და ბოლო ტურის შედეგის მიუხედავად, მერვედ მოიპოვეს მსოფლიოს გუნდური ჩემპიონის ოქროს თასი.

ამერიკის შეერთებული შტატების მოჭადრაკეებს 31 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვთ.

ჩინელი სპორტსმენები შერისხული არიან

პეკინი. „კულტურული რევოლუციის“ დროს შერისხული აღმოჩნდა ჩინეთის მაგიდის ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელსაც ბევრჯერ მოუპოვებია მსოფლიოს ჩემპიონის წოდება. გაზეთ „ხუნვეიბინში“, რომელსაც „წითელი დამცველები“ უშვებენ, ნათქვამია, რომ ეს სპორტსმენები „ბოიკოტს უცხადებენ კულტურულ რევოლუციას“. „მაგიდის ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდი, — აღნიშნავს ეს გაზეთი, — უკვე აღარ არის მაგალითის მაჩვენებელი თავმჯდომარე მაოს ნაწარმოებთა ყოველდღიური შესწავლისა და გამყენების საქმეში“. ერთ დროს გაზეთი „ჟენმინ ჟიბაო“ ჩინელ ჩოგბურთელთა ყველა მიღწევას მხოლოდ „მაო ძე-დუნის იდეებით“ ხსნიდა.

„ხუნვეიბინებმა“ ფართო კამპანია გააჩაღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ჟუნ გაო-ტანის წინააღმდეგ, უწოდებენ მას „დამნაშავეს“, რომელიც აბრკოლებს „კულტურული რევოლუციის“ გახორციელებას. ჟუნ გაო-ტანი, აცხადებენ ისინი, ექვს წელზე მეტი ხნის განმავლობაში „გაშმაგებით ილაშქრებდა მაო ძე-დუნის იდეების წინააღმდეგ“.

მკაცრად ესხმიან თავს, აგრეთვე, ჩინელ სპორტსმენთა გაზეთ „ტიიუი ბაოს“. „ხუნვეიბინებმა“ გაზეთ „ტიიუი ბაოს“ ბრალად დასდეს, რომ იგი „ბოიკოტს უცხადებს და ძირს უთხრის დიად კულტურულ რევოლუციას“.

იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომ 2 ნოემბრიდან გაზეთი „ტიიუი ბაო“ ხელისმოწერილებს აღარ მისდით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩინეთის ახალგაზრდობა, სპორტსმენები და სპორტის მოყვარულნი საერთოდ ვეღარ მიიღებენ თავიანთ სპორტულ გაზეთს. უამრავ მასალაში, რომლებსაც „ხუნვეიბინები“ ავრცელებენ, ისინი გაზეთ „ტიიუი ბაოს“ დარბევას თავმჯდომარე მაოს დიდ გამარჯვებად მიიჩნევენ.



ᲚᲐᲯᲐᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ

● **ლონდონი,** 16 ნოემბერი. 4×880 იარდზე ესტაფეტაში საბჭოთა მორბენლების — სვერდლოვსკელი ა. უსტიანცევის, როსტოველი რ. მიტროფანოვის, ლენინგრადელების ო. რაიკოსა და ვ. მიხაილოვის მიღწევა (7.16,0) მსოფლიო რეკორდად დასამტკიცებლად წარდგენილია საერთაშორისო მძლეოსნურ ფედერაციაში. ეს შედეგი, რომელიც 1,4 წამით ჯობს ამერიკელთა ახლანდელ მიღწევას, საბჭოთა სპორტსმენებმა ლონდონის „კრისტალ-პალასის“ სტადიონზე აჩვენეს ივნისში. მაშინ ფინიშთან პირველნი იყვნენ ინგლისელები, მაგრამ, როგორც შემდგომ გამოირკვა, მასპინძელთა გუნდმა შეჯიბრების წესი დაარღვია და მისი მაჩვენებლის რეკორდად რეგისტრაცია არ შეიძლება.

● **ვარშავა, 16 ნოემბერი.** მშვიდობის XX ველორბოლის საორგანიზაციო კომიტეტმა უკვე მიიღო პირველი განაცხადები. „პიონერებად“ მოგვევლინენ პოლონეთის ველოსიპედისტთა კავშირი და ინგლისის ველოსპორტის ფედერაცია. ინგლისელებმა, სხვათა შორის, განაცხადეს, რომ საიუბილეო რბოლაში მათ გუნდს უმეთაურებს ამ ტრადიციულ შეჯიბრებაში 1952 წელს გამარჯვებული ი. სტილი.

● *ბერლინი, 17 ნოემბერი.* წლევანდელ ზამთრის სეზონში არხენგელსკელი ო. სემაკოვი საბჭოთა მოციგურეების მონაწილეობით პირველ საერთაშორისო შეჯიბრებაში გამარჯვებულად მოგვევლინა. სხვათა შორის, 500 მეტრზე რბენაში მან აჯობა ევროპის ჩემპიონატის პრიზიორს ჰ. ფრეეზეს (გდრ). შეჯიბრება ეაიმართა ადგილობრივი „დინამოს“ ხელოვნურ საციგუროზე.

● **ტაუნგჯი, 17 ნოემბერი.** ლენინგრადის „ზენიტის“ ფეხბურთელებმა დაამთავრეს თავიანთი გამოსვლები ბირმაში შანის სახელმწიფოს ნაკრებთან შეხვედრით. თამაში მოიგეს ლენინგრადელებმა — 5:0.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 8-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 8-95-41, მასობრივ - ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 8.95-14, ფოტოლაბორატორია — 8-95-16, მემანქანეთა ბიურო—8-95-11, გამომშვები — 8.93-81.